ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3003324

ნომერი: AR1455216

თარიღი : 09.11.2016

გაცემის თარიღი : 19.12.2016

გაცნობის თარიღი : 19.12.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაია რჩეულიშვილი პ/ნ 01017003383
- თბილისი ლ.ბოცვაძის ქ. N 14

ორგანიზაცია:
- გეითვეი ჰოლდინგი კოდი: 204531499

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 9 ნოემბრის NAR1455216 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქალაქე მაია რჩეულიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა N10–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.13.02.005.006) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმება.
განაცხადის განხილვისას სამსახურის მიერ დადგენილი იქნა, რომ 2016 წლის 9 ნოემბრის NAR1455216 ელექტრონული განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი რის გამოც 2016 წლის 11 ნოემბრის N2941710, 2016 წლის 18 ნოემბრის N2953088 და 2016 წლის 9 დეკემბრის N2988626 გადაწყვეტილებებით განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზები და მიეცა დრო საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე

დოკუმენტაციის წარმოსადგენად. დღეის მდგომარეობით კვლავ არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებებით განსაზღვრული დოკუმენტაცია, კერძოდ:

· არ არის წარმოდგენილი უფლებრივ ზონირების რუკაზე დატანილი წარმოსახვითი სამეზობლო მიჯნები, გამოყოფილი წყვეტილ-წერტილი ხაზებით და მითითებული დაშორების ზომებით (1 მ სიზუსტით);

· შეთანხმებულ პროექტთან დაკავშირებული ყველა არსებული ბრძანება და განკარგულება არ არის ჩამატებული ალბომში სრულად (ყველა გვერდი) და კითხვადი ფაილის სახით (წარმოდგენილი ფოტო სურათები არაკითხვადია და მასალა კი არასრული, დოკუმენტის მხოლოდ რამოდენიმე გვერდი);

· წარმოდგენილი არ არის პროექტის ეტაპებისა და რიგითობის სქემა და მათი შესაბამისი განმარტება, ტექსტის სახით; სქემებში მოცემული საპროექტო ტერიტორიაზე გრგ დამტკიცების ან/და ტერიტორიაზე განაშენიანების/გამოყენების ეტაპები; ეტაპებში გამოყოფილი შენობა-ნაგებობების მშენებლობის რიგითობით;

· ცალკე ფრაგმენტად არის წარმოდგენილი არსებული და კორექტირებული უფლებრივი ზონირების გეგმების ის ნაწილი, რომელსაც ეხება ცვლილება, რუკაზე დატანილი პროექტის კორექტირებული ნაწილის ჭრილი <u>სიმაღლის განმსაზღვრელი სხივით;</u>

· პროექტის კორექტირებული ნაწილის ჭრილები წარმოადგენილია არასრულად;

· წარმოდგენილი არ არის ტოპოგრაფიული გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს: ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალურ (UTM-კოორდინატთა სისტემაში) ნიშნულებს; აზომილი ტერიტორიის რელიეფის ყველა მახასიათებელს (გრუნტის ზედაპირი, ხე-ნარგავები და ა. შ.), ყველა შენობა-ნაგებობას (მათ შორის მიწისქვეშა, მიწისზედა და საჰაერო საინჟინრო კომუნიკაციები) და მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს; გეგმაში გამოყენებულ პირობით აღნიშვნებს და მასშტაბს.გააჩნდეს შტამპი, მითითებული უნდა იყოს მისი განმახორციელებელი პასუხისმგებელი სპეციალისტები და დამოწმებული უნდა იყოს მათი ხელმოწერით;

· განაშენიანების რეგულირების გეგმის განმარტებითი ბარათში არ არის წარმოდგენილი ეფექტიანობის შეფასება;

· <u>ავტოსადგომების გეგმები და რაოდენობები განმატებით ბარათსა და უფლებრივი ზონირების რუკაზე ერთმანეთთან შეუსაბამოა;</u>

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მარტის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად:

განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების პროცედურა ხორციელდება ორ ეტაპად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ პირველი ეტაპით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შესაძლებელია შემდგომი ეტაპის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

აღნიშნული ეტაპების ადმინისტრაციული წარმოების ვადებია:

ა) I ეტაპი — განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების დამტკიცება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად – არაუმეტეს 20 დღე;

ბ) II ეტაპი — განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად – არაუმეტეს 30 დღე;

განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი სამსახური რომელიც საბჭოს შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე ამზადებს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების პროექტებსა და გასცემს შესაბამის სამართლებრივ დასკვნებს:

ა) I ეტაპი – განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ;

ბ) II ეტაპი – განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების შესახებ;

ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტები თბილისის მერის მიერ წარედგინება თბილისის საკრებულოს.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილის თანახმად: ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან;

თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია;

თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ VI თავის და

ამავე კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად დარჩეს მოქალაქე მაია რჩეულიშვილის 2016 წლის 9 ნოემბრის NAR1455216 განცხადება ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა N10–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.13.02.005.006) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების თაობაზე;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.